ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

01/10/2024

MES 9 24 0001249011

გადაწყვეტილება

სსიპ-ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლას (ს/კ:224628080) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
2. სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები;
3. სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით;
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის N1246499 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დანართი:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა